

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

სკოლა - ლიცეუმი
მასტერკლასი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ქ. ბათუმი
2024 წელი

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	4,337,250	3,796,672
სხვა შემოსავლები		16,897	2,461
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		-	-
მარაგის შეძენა		(483,757)	(454,652)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(2,885,939)	(2,314,781)
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი		(64,721)	(77,323)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(383,795)	(319,287)
საგადასახადო ხარჯი		(17,936)	(18,045)
სხვა ხარჯი	6	(55,223)	(66,103)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		462,776	548,942
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(39,466)	417
ფინანსური ხარჯი		(69,623)	(62,109)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		353,687	487,250
მოგების გადასახადი		(90,129)	(70,473)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		263,557	416,777

ქეთევან სიქტურაშვილი

გიორგი ცენტერაძე

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,656,070	1,907,396
არამატერიალური აქტივები	8	2,614	3,505
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,658,684</u>	<u>1,910,901</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9	-	-
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	151,856	149,616
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		108	42
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	127,722	51,747
სულ მიმდინარე აქტივები		<u>279,687</u>	<u>201,404</u>
სულ აქტივები		<u>2,938,371</u>	<u>2,112,305</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		28,445	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		734,448	981,266
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>762,893</u>	<u>981,266</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	811,405	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>811,405</u>	
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	531,919	472,175
საგადასახადო ვალდებულებები		435,811	347,001
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		396,344	311,863
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1,364,074</u>	<u>1,131,039</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2,938,371</u>	<u>2,112,305</u>
		-	-
დირექტორი		ქეთევან სიქტურაშვილი	
მთ. ბუღალტერი		გიორგი ცენტერაძე	

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2023 ნაშთი	-	963,837	963,837
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	416,777	416,777
გაცემული დივიდენდი		(399,348)	(399,348)
31.12.2023 ნაშთი	-	981,266	981,266
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	28,445		28,445
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	263,557	263,557
გაცემული დივიდენდი	-	(510,376)	(510,376)
01.01.2024 ნაშთი	28,445	734,448	762,893

დირექტორი

ქეთევან სიქტურაშვილი

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,367,298	3,809,700
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(888,605)	(827,950)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2,286,875)	(1,792,598)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>1,191,818</u>	<u>1,189,153</u>
გადახდილი გადასახდები	(638,098)	(503,218)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მოხიზრადი	<u>553,720</u>	<u>685,935</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>553,720</u>	<u>685,935</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(759,695)	(32,918)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(484,857)	(367,204)
საწესდებო კაპიტალი	28,445	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1,216,107)</u>	<u>(400,122)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,389,035	518,602
სესხის დაფარვა	(577,746)	(764,793)
პროცენტის დაფარვა	(69,623)	(62,109)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	3,343	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(6,647)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>738,363</u>	<u>(308,300)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	<u>75,975</u>	<u>(22,487)</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	<u>51,747</u>	<u>74,234</u>
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	<u>127,722</u>	<u>51,747</u>
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		

დირექტორი

ქეთევან სიქტურაშვილი

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს სკოლა-ლიცენზი მასტერკლასი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მასტერკლასი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი B10017411, საწარმოს იურიდიული მისამართი არის, ბათუმი, ხიმშიაშვილის 55 საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, ხიმშიაშვილის 55. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვების სწავლებით უზრუნველყოფა, ასევე სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

-	შენობა ნაგებობები	-1,3 -5 %
-	მანქანა დანადგარები	-10-15%
-	საოფისე აღჭურვილობა	-20-50%
-	ავეჯი და მოწყობილობები	-15-35%
-	სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
-	სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერ-სპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის)

ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

დასახელება	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სკოლიდან	3,432,755	3,082,500
შემოსავალი სტუდიიდან	509,830	326,035
დღგ-თ დასაბეგრი შემოსავალი	17,216	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები	377,449	251,075
წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	137,062
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,337,250	3,796,672
სხვა შემოსავალი	16,897	2,461
ჯამი:	4,354,147	3,799,133

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

დასახელება	2024 წელი	2023 წელი
რეკლამის ხარჯი	-	1,952
საიჯარო მომსახურება	108,266	114,708
კომუნალური მომსახურება	80,565	87,729
კომუნიკაციის ხარჯი	11,130	10,924
სხვა მომსახურების ხარჯი	183,834	103,974
ჯამი:	383,795	319,287

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

დასახელება	2023 წელი	2023 წელი
ჭურჭელი	39,306	1,985
სათამაშოები, ბადის მცირეფასიანი ინვენტარი	320	2,273
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	5,085	-
საოფისე ინვენტარი	76	-
სამეურნეო საქონელი	-	25,385
ტექნიკური საქონელი	-	1,495
ნაჭრის ნაწარმი და უნიფორმა	-	1,839
მოგებით დასაბეგრი ხარჯი	357	-
ჯარიმები	1,000	-
ლიტერატურის ხარჯი	-	167
არასაგადასახადო ხარჯი	-	828
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3	4,096
მიმდინარე რემონტი	9,076	21,942
საჩუქარი	-	6,094
ჯამი:	55,223	66,103

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
მიწის ნაკვეთი	887,879	759,695		128,184
შენობა	1,986,765			1,986,765
მანქანა დანადგარები	91,472	480		90,992
ოფისის აღჭურვილობა	423,430	47,865		375,565
ავეჯი და სხვა ინვენტარი	70,675	4,465		66,210
ჯამი:	3,460,221.0	812,505	-	2,647,716

ცვეთა	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
შენობა	420,984	28,382		392,602
მანქანა დანადგარები	52,498	7,724		44,774
ოფისის აღჭურვილობა	285,232	19,594		265,638
ავეჯი და სხვა ინვენტარი	45,437	8,129		37,307
ჯამი:	804,151	63,830	-	740,321

საბალანსო ღირებულება	2,656,070			1,907,396
-----------------------------	------------------	--	--	------------------

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
სხვა არამატერიალური აქტივი	5,550	-	-	5,550
ჯამი:	5,550	-	-	5,550

ცვეთა	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
სხვა არამატერიალური აქტივი	2,936	891		2,045
ჯამი:	2,936	891	-	2,045
საბალანსო ღირებულება	2,614			3,505

9. მარაგი

(ლარი)

დასახელება	2024 წელი	2023 წელი
ხარჯად აღიარებული მარაგი	- 483,757	- 454,652
მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	-	-
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	-	-

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

დასახელება	(ლარი)	
	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	151,405	140,453
მოთხოვნა პერსონალთან	452	9,163
გადახდილი ავანსები	0	0
ჯამი:	151,856	149,616
	-	0

11. ფულადი სახსრები

დასახელება	(ლარი)	
	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	124,852	51,466
ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	-	-
ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	2,871	281
ჯამი:	127,722	51,747

12. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

დასახელება	(ლარი)	
	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
მოკლევადიანი სესხები	396,344	-
გრძელვადიანი სესხები	811,405	
ჯამი:	1,207,749	-

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	(ლარი)	
	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	272,622	277,609
პერსონალთან სახელფასო ვალდებულება	259,297	194,566
ჯამი:	531,919	472,175

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

ქეთევან სიქტურაშვილი

მთ. ბუღალტერი:

გიორგი ცენტერაძე


შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	4,337,250	3,796,672
სხვა შემოსავლები		16,897	2,461
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		-	-
მარაგის შეძენა		(483,757)	(454,652)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(2,885,939)	(2,314,781)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(64,721)	(77,323)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(383,795)	(319,287)
საგადასახადო ხარჯი		(17,936)	(18,045)
სხვა ხარჯი	6	(55,223)	(66,103)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		462,776	548,942
საჯურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(39,466)	417
ფინანსური ხარჯი		(69,623)	(62,109)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		353,687	487,250
მოგების გადასახადი		(90,129)	(70,473)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		263,557	416,777

ქეთევან ხიქტურაშვილი

გიორგი ცენტერაძე



შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,656,070	1,907,396
არამატერიალური აქტივები	8	2,614	3,505
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,658,684</u>	<u>1,910,901</u>
მიმდინარე აქტივები			
შარავი	9	-	-
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	151,856	149,616
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		108	42
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	127,722	51,747
სულ მიმდინარე აქტივები		<u>279,687</u>	<u>201,404</u>
სულ აქტივები		<u>2,938,371</u>	<u>2,112,305</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		28,445	-
გაუნაწილებელი შოგება-ზარალი		734,448	981,266
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>762,893</u>	<u>981,266</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	811,405	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>811,405</u>	
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	531,919	472,175
საგადასახადო ვალდებულებები		435,811	347,001
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		396,344	311,863
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1,364,074</u>	<u>1,131,039</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2,938,371</u>	

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ქეთევან სიქტურაშვილი

გიორგი გენტეა



შპს სკოლა-ლიცენზია მასტერკლასი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2023 ნაშთი	-	963,837	963,837
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	416,777	416,777
გაცემული დივიდენდი		(399,348)	(399,348)
31.12.2023 ნაშთი	-	981,266	981,266
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)	28,445		28,445
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	263,557	263,557
გაცემული დივიდენდი	-	(510,376)	(510,376)
01.01.2024 ნაშთი	28,445	734,448	762,893

დირექტორი

ქეთევან სიქტურაშვილი

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე



შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,367,298	3,809,700
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(888,605)	(827,950)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2,286,875)	(1,792,598)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>1,191,818</u>	<u>1,189,153</u>
გადახდილი გადასახდელები	(638,098)	(603,218)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მოხლოებაში	<u>553,720</u>	<u>685,935</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>553,720</u>	<u>685,935</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(759,695)	(32,918)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(484,857)	(367,204)
საწესდებო კაპიტალი	28,445	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1,216,107)</u>	<u>(400,122)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,389,035	518,602
სესხის დაფარვა	(577,746)	(764,793)
პროცენტის დაფარვა	(69,623)	(62,109)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	3,343	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(6,847)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>738,363</u>	<u>(308,300)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	<u>75,975</u>	<u>(22,487)</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	<u>51,747</u>	<u>74,234</u>
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	<u>127,722</u>	<u>51,747</u>
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ქეთევან სიქტურაშვილი

გიორგი გენტეშაძე

